საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

№16/775-17 „16" 03 2017წ

შპს „Qaudriga EMEA Limited"-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 30 მარტს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „Qaudriga EMEA Limited"-ის ავტორიზაციის შეჩერების საკითხი.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;

გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი: სამსახურებრივი ბარათი - 7 ფურც.

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და

ნებართვების დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ მ. ქადეიშვილს

ამავე აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

სპეციალისტის ნ. ამირიძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო მაია,

კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს წარმოებაში აქვს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N10/1119-17, 06.02.2017), რიგი ავტორიზებული პირების თაობაზე, საიდანაც ირკვევა, რომ:

1. შპს „SK Communication"-ს არ აქვს კომისიაში წარმოდგენილი 2014 წლის ოქტომბრის თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმები (ჩარიცხული აქვს 319.34 ლარი), ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2014 წლის იანვრიდან - 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვით შევსებული და წარმოდგენილი აქვს ნულოვანი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და კომპანია არც ერთ სხვა ავტორიზებულ პირთან კონტრაჰენტ ოპერატორად არ ფიქსირდება;
2. შპს „დიაპაზონს" არ აქვს კომისიაში წარმოდგენილი 2012 წლის მაისის თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ აქვს ჩარიცხული რეგულირების საფასური, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2010 წლიდან არ აქვს შევსებული და კომისიაში წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;
3. ი/მ „სოსო ჯოხაძეს" არ აქვს კომისიაში წარმოდგენილი 2012 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ აქვს ჩარიცხული რეგულირების საფასური, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2012 წლის

7-10/1743-17
21 02 17
2+2

აპრილის თვიდან 2016 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით წარმოდგენილი აქვს კომისიაში ნულოვანი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, ხოლო 2016 წლის სექტემბრიდან დღემდე კომისიაში არ წარმოუდგენია სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და კომპანია არც ერთ სხვა ავტორიზებულ პირთან კონტრაჰენტ ოპერატორად არ ფიქსირდება;

4. შპს „Quadriga EMEA Limited"-ს კომისიაში არ წარმოუდგენია 2015 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ განუხორციელებია რეგულირების საფასურის ჩარიცხვევი, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2016 წლის თებერვლის თვიდან არ წარმოუდგენია სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;
5. შპს „New Generation Aim"-ს კომისიაში არ წარმოუდგენია 2013 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ განუხორციელებია რეგულირების საფასურის ჩარიცხვები, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2013 წლის იანვრის თვიდან არ შეუვსია სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$19^{1}$ მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად: ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას; ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას; გ) არ იხდის რეგულირების საფასურს.

ვინაიდან, კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისა და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის განმარტებებიდან გამომდინარე არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ზემოაღნიშნული კომპანიები ერთ წელზე მეტი ხანია არ ასრულებენ მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს და არ საქმიანობენ, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$19^{1}$ მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მითითებულ კომპანიებს შეუჩერდეთ ავტორიზაცია.

პატივისცემით,
ნინი ამირიძე

ქ-ნ ჰ. ბერიას

რეაგირებისათვის

ვ. აბაშიძე
06.02.2017წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვახტანგ,

კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათის (N10/630-17, 23.01.2017) საფუძველზე, გადმოგვეცა კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (მ-10/971-17, 31.01.17.), რომლის თანახმადაც დამატებით და დეტალურად წარმოგიდგენთ ინფორმაციას (იხ. დანართი) რიგი იურიდიულ/ფიზიკურ პირებზე, რეგულირების ყოველწლიური საფასურის წარმოდგენილი/წარმოუდგენელი გაანგარიშებების და დავალიანებების შესახებ.
გთხოვთ დაავალოთ სამართლებრივ დეპარტამენტს შესაბამისი რეაგირება. ინფორმაციას დანარჩენი იურიდიულ/ფიზიკური პირების შესახებ წარმოგიდგენთ ეტაპობრივად.

დანართი: 01 ფურცელი, 01 ეგზ.

ხელმოწერილია
ნათია დევდარიანი
06/02/2017

N 10/1119-17
06.02.17
1+1 ფურც.

| № | ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | კომპანიის დასახელება | ს/კ | წარმოსადგენი რეგულირების მოსაკრებლის დეკლარაციის საანგარიშო პერიოდები | რეგულირების საფასურის დეკლარირებული გადასახდელი თანხა ლარში | ზედმეტად გადახდილი რეგულირების საფასური ლარში | სანქციები გაფრთხილება/ჯარიმა ლარში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს | მეგანეტი | 404910076 | 2015 წლის მარტიდან, დეკემბრის ჩათვლით, 2016 წლის იანვრიდან, დეკემბრის ჩათვლით | 284.35 | 0.00 | | |
| 2 | შპს | სანეტი (sannet) | 438724356 | 2012 წლის ივნისიდან, 2014 წლის აპრილიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 1,892.15 | | |
| 3 | შპს | მეგალეკლუბი + | 404898642 | 2015 წლის მარტიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 127.83 | 0.00 | | |
| 4 | სს | New Generation Aira | 404432609 | 2013 წლის იანვრიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 0.00 | | |
| 5 | შპს | Quadriga EMEA Limited | 3038297 | 2015 წლის იანვრიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 23.93 | | |
| 6 | შპს | FlyLink | 419617764 | 2014 წლის ივნისი, 2015 წლის აპრილი და 2016 წლის დეკემბერი | 0.00 | 46.47 | | |
| 7 | ი/მ | ხიხო ჯულაძე | 13001011798 | 2012 წლის იანვრიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 0.00 | | |
| 8 | შპს | SKYGROUP | 404962493 | 2013 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, 2015 წლის დეკემბერი, 2016 წლის იანვრიდან, დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 775.82 | | |
| 9 | შპს | SK Communication | 404962447 | 2012 წლის ნოემბერი, დეკემბერი, 2014 წლის ოქტომბრიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 319.34 | | |
| 10 | შპს | POWERNET | 435428672 | 2012 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, 2013 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი | 0.00 | 14.24 | | |
| 11 | შპს | თრიო-ნეტ | 404946680 | 2013 წლის იანვრიდან, 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 144.45 | | |
| 12 | შპს | ლოკალნეტი | 445409442 | 2012 წლის მაისიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 0.00 | გაფრთხილება | |
| 13 | შპს | YOURNET | 438108398 | 2012 წლის ნოემბერი, დეკემბერი | 131.13 | 0.00 | | |
| 14 | შპს | GOLDNET | 446965035 | 2016 წლის მარტიდან, დეკემბრის ჩათვლით | 57.38 | 0.00 | გაფრთხილება, ჯარიმა-3000.00 | ჯარიმა გადახდილია |
| 15 | შპს | აირნეტი AIRNET | 439861419 | 2012 წლის ივნისი და 2016 წლის დეკემბერი | 0.00 | 30.62 | | |
| 16 | ი/მ | ცირა ხარდია | 19001051183 | 2012 წლის იანვარი, თებერვალი, 2015 წლის ივლისიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით და 2016 წლის ნოემბერი, დეკემბერი | 0.00 | 99.27 | | |
| 17 | ი/მ | დავით რიუკაზიშვილი | 11001000195 | 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 55.96 | | |
| 18 | ი/მ | მირზა აბულაძე | 21001020046 | 2012 წლის სექტემბრიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 0.00 | | |
| 19 | შპს | ვიფინეტი wifinet | 416296234 | 2012 წლის იანვრიდან, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით | 0.00 | 634.36 | | |
| 20 | ი/მ | ლევანი ხაბელაშვილი | 11001006700 | 2012 წლის თებერვალი, მარტი, 2014 წლის აპრილიდან 2016 წლის, დეკემბრის ჩათვლით | 331.26 | 0.00 | | |